# დებიტორული დავალიანების ჩამოწერა N 2657

## ფაქტობრივი გარემოებები

საწარმოს, რომელიც იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, სასყიდლიანი გარიგების ფარგლებში, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის შედეგად ერიცხება ვადაგადამდგარი დებიტორული დავალიანება (მოთხოვნის უფლება).

**ვარიანტი I**

საწარმო, დებიტორული დავალიანების მქონე პირ(ებ)ს ვალდებულების შესრულებას სთხოვს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით. საწარმომ დებიტორული დავალიანების ამოღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი არ გამოიყენა, ვინაიდან დებიტორული დავალიანების ამოსაღებად გასაწევი დროის, ადამიანური რესურსის ან/და ფინანსური ხარჯების ოდენობა, აღემატება მისაღები შემოსავლის/სარგებლის ოდენობას.

**ვარიანტი II**

საწამომ მიმართა შესაბამის სამართლებრივ მექანიზმს დებიტორული დავალიანების ამოსაღებად, თუმცა, აღსრულების ორგანოს მეშვეობით მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.

საწარმომ ორივე ვარიანტში ჩამოწერა დებიტორული დავალიანება (რაც არ გულისხმობდა ვალის პატიებას) და აღნიშნული არ განიხილა მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად.

## შეფასება

დებიტორული დავალიანების ჩამოწერა არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს, შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისათვის რელევანტურია მსჯელობა სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.

სსკ-ის $98^3$ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მიზნებისათვის საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, უსასყიდლო მიწოდებად ითვლება.

**I ვარიანტში**

საწარმოს მხრიდან საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდებას ადგილი არ აქვს, რამდენადაც გარიგების მიზანს წარმოადგენდა საქონლის/მომსახურების სასყიდლიანი მიწოდება და ამასთან, დებიტორული დავალიანების ამოსაღებად გასაწევი დროის, ადამიანური რესურსის ან/და ფინანსური ხარჯების ოდენობა, აღემატება მოთხოვნის დაკმაყოფილებით მისაღები შემოსავლის/სარგებლის ოდენობას.

**II ვარიანტში**

საწარმოს მხრიდან საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდებას ადგილი არ აქვს, რამდენადაც გარიგების მიზანს წარმოადგენდა საქონლის/მომსახურების სასყიდლიანი მიწოდება და ამასთან, საწარმომ მიმართა შესაბამის სამართლებრივ მექანიზმს დებიტორული დავალიანების ამოსაღებად, თუმცა, ვერ მოხერხდა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

## ღონისძიებები

**I და II ვარიანტში**

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და მის მიმართ დამატებით საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

- *სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი;*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2020 წლის 6 მაისისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც.*